

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ქეთევან კუხიანიძე

Ketevan Kukhianidze

შვილად აყვანა ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში  
და ამ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

Adoption in Georgian and Foreign Legislation and Peculiarities of  
These Cases

სპეციალობა: სამართალი

Specialty: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the Dr. of Law Academic  
Degree

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
ხელნაწერის უფლებით

ქეთევან კუხიანიძე

შვილად აყვანა ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში და  
ამ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

სპეციალობა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ- ხელმძღვანელი:  
ვალერიან ხრუსტალი,  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერ-  
სიტეტის ვებ-გვერდზე [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის სახე-  
ლობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საატესტაციო -  
საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობა-  
ქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში  
(თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი)

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| შესავალი.....  | 5  |
| საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა.....            | 5  |
| კვლევის მიზანი.....  | 9  |
| კვლევის ამოცანები.....                                     | 9  |
| მეცნიერული ჰიპოთეზა.....                                   | 10 |
| ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი..... | 10 |
| მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა.....                         | 12 |
| კვლევის შედეგები.....                                      | 18 |
| ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....                            | 18 |
| დასკვნა და რეკომენდაციები.....                             | 20 |

## შესავალი

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ერთ–ერთ პრიორიტეტულ საკითხად მშობლის მზრუნველობა მოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა და მათი ოჯახში განთავსებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

შვილად აყვანა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა თანამედროვე სამყაროში. რამდენადაც ბავშვები საზოგადოების წევრები არიან, შვილად აყვანა ეს არის ერთგვარი ჰუმანურობის გამოხატულება. ბავშვის უფლებების რეალიზება და დაცვა ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს პირველადი ამოცანაა.

სიყვარული, სიკეთე და თანაგრძნობა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია, რაც ძირითადი მამოძრავებელი პრინციპებია ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად.

### **საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა**

ოჯახი არის ადგილი, სადაც იზრდებიან და ვითარდებიან მომავალი თაობები, სადაც ერთმანეთთან დაკავშირებულია პიროვნების პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, მოზარდი თაობების ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება, ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა. რამდენად დიდია სურვილი შვილად აყვანისა, იმდენად შესაძლოა ბავშვის შვილება დღეს საქართველოში რთული აღმოჩნდეს.

თითქმის ყოველდღე იზრდება მშვილებელთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულ მშვილებელთა მონაცემები, რაც ნათლად ჩანს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილ ინფორმაციაში. კერძოდ, 2000 წლიდან 2014 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით შვილად აყვანის მსურველ პირთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულია 3035 ოჯახი (წყვილი ან მხოლოდ ერთი პირი).

ისტორიულად შვილად აყვანა ოდითგანვე ითვლებოდა მნიშვნელოვან მოვლენად იმ პირებისთვის, რომლებსაც არ ჰყავდათ ბიოლოგიური შვილები, ან არ შეეძლოთ სხვადასხვა გარემოების გამო მათი ყოლა. თანამედროვე ეპოქაშიც შვილად აყვანის საკითხი არ კარგავს თავის აქტუალობას და ის ერთ–ერთ ყველაზე სენსიტიურ თემად მიგვაჩნია, რაც ახლებურ მიდგომასა და ღრმად გაანალიზებას საჭიროებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1239–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორც მშობელსა და შვილებს შორის არსებობს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შვილად აყვანა ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ზრდასრულ ადამიანს (ადამიანებს), რომლებიც არ არიან ბავშვის ბიოლოგიური მშობლები, შეუძლიათ აიყვანონ ბავშვი სრულყოფილი ოჯახის შექმნის მიზნით.

დღესდღეობით გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი მინიჭებული აქვს 181 ბავშვს. მათ შორის შშმპ–ს სტატუსი ან ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აქვს 117 ბავშვს. 64 ბავშვი არის პრაქტიკულად ჯანმრთელი, რომელთაგან 24 ბავშვი გაშვილების წინააღმდეგია, 30 ბავშვს სურს გაშვილება. მათგან 16 ბავშვის ასაკი არის 10–დან 18 წლამდე, რაც ართულებს მათი გაშვილების საკითხს, 10 ბავშვის გაშვილება შეჩერებულია სხვადასხვა მიზეზის გამო.

2009 წლიდან დღემდე, ფაქტობრივად 7 წლის განმავლობაში, საქართველოში გაშვილდა 1357 ბავშვი. მათ შორის: თბილისში–448 ბავშვი, აჭარაში–127, გურიაში–105, იმერეთში–212, სამეგრელო–ზემო სვანეთში–201, რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში– 10, მცხეთა–მთიანეთში – 17, კახეთში–73, შიდა ქართლში– 65, ქვემო ქართლში– 76, სამცხე– ჯავახეთში– 23 და უმეტეს შემთხვევაში შვილად აყვანის მსურველ პირთა მოთხოვნაში მითითებული იყო სასურველი ბავშვის ასაკი 3 წელი, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

არასრულწლოვნის შვილად აყვანისას ძალიან დიდ როლს თამაშობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო – კერძოდ კი სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები, რომელთა მაღალკვალიფიციურობაზე არის დამოკიდებული ბავშვის კანონიერად გაშვილება და მის ოჯახურ გარემოში განთავსება, რაც დიდ პასუხისმგებლობასა და მათი მხრიდან პროცესების სწორად წარმართვას მოითხოვს.

სახელმწიფოს ძალისხმევა არ არის საკმარისი აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის. საკანონმდებლო ნორმებიც ძირეულ ცვლილებას საჭიროებს.

განსაკუთრებით ძნელია შშმ ბავშვების გაშვილება ქვეყნის შიგნით. მშვილებლების დიდ ნაწილს სურვილი არ უჩნდება ასეთი არასრულწლოვანი აიყვანოს შვილად და შეუქმნას მას ისეთივე თბილი და მოსიყვარულე გარემო, როგორსაც ჯანმრთელი ბავშვის შვილების შემთხვევაში უზრუნველყოფდნენ. პოტენციური მშვილებლების ასეთი დამოკიდებულება კი უბიძგებს სახელმწიფოს, რომ უცხოელი მშვილებლების მოთხოვნის შემთხვევაში, გააშვილოს ქართველი ბავშვი საზღვრებს გარეთ. ეს გარემოება იმით არის ახსნილი, რომ შშმ ბავშვების აყვანისას ქვეყნის შიგნით არ არსებობს სახელმწიფოს წამახალისებელი მექანიზმები. საქართველოს საგადასახადო კოდექსში მხოლოდ მცირედი შეღავათებია დაწესებული შვილად აყვანის შემდგომ და ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, პოტენციური მშვილებლები მხოლოდ ქველმოქმედნი უნდა იყვნენ, ასეთი არასრულწლოვნები შვილად რომ აიყვანონ.

სამწუხაროდ, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი, რადგან უდავო წარმოების კატეგორიის საქმეები შვილად აყვანის ნაწილში დახურულია. აღნიშნული გარემოება კი გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის, რადგან არ ხორციელდება სასამართლო

პრაქტიკის ძირეული შესწავლა და არსებული ხარვეზების გამოვლენა.

ამასთან, შვილად აყვანის საკითხები, დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლის თანახმად, კონფიდენციალურია, რაც გულისხმობს იმას, რომ შვილად აყვანის შესახებ ცნობების გამოქვეყნება დაუშვებელია და ის პირი, რომელიც გამშვილებლის ნება-სურვილის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის ფაქტს მშვილებლის თანხმობის გარეშე, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

ზემოხსენებულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კიდევ უფრო დასახვეწი და შესაბამისობაში მოსაყვანია საერთაშორისო ნორმებთან, საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებთან.

ყურადსაღებია ასევე საერთაშორისო გაშვილების ნაწილში ბავშვის უფლებათა მარეგულირებელი აქტები, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო გაშვილებას, როგორც შვილად აყვანის ალტერნატიულ ფორმას. თუმცა საერთაშორისო გაშვილების მიზანშეწონილობის საკითხი არაერთხელ გამხდარა მწვავე დებატების დაწყების საფუძველი ადამიანის უფლებათა დამცველებს შორის.

რამდენადაც საკითხი ყოვლისმომცველი და ძალიან სენსიტიურია, კვლევაში საჭიროდ მივიჩნიეთ ამ სფეროებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმატიული ბაზის შესწავლა და მისი შედარება ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან, სოციალური კვლევის ჩატარება და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენა.

სწორედ ამიტომ, შვილად აყვანის ინსტიტუტის კანონმდებლობის დარეგულირებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი.



### **კვლევის მიზანი**

1. გამოავლინოს შვილად აყვანის ინსტიტუტის ხელშემშლელი ფაქტორები და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს მათი დაძლევის გზები;
2. გაანალიზოს შვილად აყვანის პროცესი ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში და წარმოაჩინოს შვილად აყვანის საქმესთან დაკავშირებული თავისებურებები;
3. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, საკანონმდებლო ცვლილებების კანონპროექტის ჩათვლით.

### **კვლევის ამოცანები**

1. შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
2. ქვეყნის შიგნითა და ქვეყნის გარეთ გაშვილებულ ბავშვთა სტატისტიკის გაანალიზება;
3. შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის წარმოება;
4. სოციალური კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემების შეჯერება და გაანალიზება.
5. შვილად აყვანასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლა;
6. შვილად აყვანის ბათილობასა და გაუქმებასთან დაკავშირებით თეორიული და პრაქტიკული ასპექტების წარმოჩენა;
7. საერთაშორისო გაშვილების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა;
8. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის გამოკვეთა შვილად აყვანისას;
9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ შვილად აყვანისა და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნების გაშვილებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა;

## მეცნიერული ჰიპოთეზა

1. საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ოჯახების მიერ ბავშვის შვილად აყვანას, რაც ხელს უშლის შვილად აყვანის წახალისებას ქვეყანაში.
2. საქართველოში, შვილად აყვანის შემდგომ კონტროლის მექანიზმების არარსებობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გაშვილებული ბავშვების ინტერესების დაცვას.
3. საქართველოში შშმ ბავშვების შვილად აყვანის მოტივაციის ნაკლებობა განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში წამახალისებელი ნორმების არარსებობით.
4. მშვილბლის (მშვილბლების), როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური ასაკის დაწესება ხელს შეუწყობს ბავშვის ინტერესების დაცვას შვილად აყვანისას.
5. სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოსაცდელი პერიოდის არარსებობა ხელს უშლის იმის გარკვევას, თუ რამდენად უზრუნველყოფს მშვილბელი შვილად აყვანის შემდგომ თავის მოვალეობის შესრულებას.

## ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი

შვილად აყვანის სამართლებრივი საკითხების მეცნიერულ გამოკვლევებს ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერების, პრაქტიკოსი იურისტების შრომები: შ. ჩიკვაშვილი, რ. და ეკ. შენგელია, ზ. ძლიერიშვილი, ვ. ხრუსტალი და თ. ლილუაშვილი, ა. კობახიძე, თ. ლილუაშვილი, დ. იმნაძე, მ. ბექაია, დ. მელიქიშვილი, ვ. მეტრეველი, ს. ჯორბენაძე, თ. ცაგურია, ს. ჯაფარიძე, გ. ნადარეიშვილი, ზ. გაბისონია, ნ. ხოლუაშვილი, ა. თორია, გრ.ჯანხოთელი, ი. კაჭარავა, შ. ქურდაძე, ლ. ნადიბაიძე, მ. მამულაშვილი, ას. გუგავა და სხვ.

ასევე უცხოელი მეცნიერ- იურისტების სტატიები და მონოგრაფიები: Bartholet El., Patterson, C. J., Dumaret A. C. , Baker B., Ritter Michael J., Wallace S., Stewart N., Pinheiro P. S., Wechsler R. J., Polikoff N. D., Spencer K., Christian Sc., Dethloff N., Charlotte Ph., Halloran K., Forowicz M., G. Bueren, Engle E., Hackenberg M., Hillis L., Phillips Ch.,

Ratclif J.A., Wallace S. , Yemm L.M. , Duncan W., Troy C.J.,  
Бондарева М.В. Ершова Н., Орехова Т. С, Зайкова О.Н., Кустова В.В.,  
Ананьина М.,  
... ..  
... .. და სხვათა შრომები.

ნორმატიულ ბაზად გამოყენებულია შეილად აყვანასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები: ევროპის საბჭოს, გაეროსა და ჰააგის კონვენციები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

შესწავლილი იქნა სასამართლო პრაქტიკა, ელექტრონულ ჟურნალებში განხილული სამეცნიერო მასალები, ინტერნეტის ვებგვერდებზე გამოქვეყნებული მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები.

### **მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა**

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც ემპირიულ, ასევე თეორიულ დონეზე.

კერძოდ, დოკუმენტური, შედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაგირების, კონკრეტიზაციის, ინდუქციის, დედუქციის და ანალოგიის მეთოდები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად ასევე გამოყენებულია ისტორიული და ლოგიკური მეთოდები.

დოკუმენტური: სამეცნიერო ლიტერატურის, კანონმდებლობის, კონვენციებისა და ანალიტიკური მასალის შესწავლა.

ისტორიული: პრობლემატიკის კვლევისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელმაც გვიჩვენა შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარების ტენდენციები ძველ რომსა და საქართველოში.

ანალიზის მეთოდი: ჩატარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ანალიზი შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის განალიზდა კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და სხვა საერთაშორისო აქტები.

შედარების მეთოდი: გამოსაკვლევ საკითხთან მიმართებაში ჩვენ შევადარეთ საქართველოში დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმები საზღვარგარეთის ქვეყნების მარეგულირებელ ნორმებთან. შედარების მეთოდის გამოყენება დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ გვსურდა გამოგვეკვეთა საკვლევი ობიექტის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

აბსტრაგირება: საქართველოს კანონიდან „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებიდან N50/ნ, სამოქალაქო კოდექსიდან და საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამოყოფილია ნორმები, რომლებიც სასურველია დაიხვეწოს და პრაქტიკულად გამოვიყენოთ.

კონკრეტიზაცია: ჩატარდა კვლევა და გამოვლინდა ის პრობლემები, რომლებიც აფერხებს შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ინდუქცია: შვილად აყვანის რეგულირების ნაწილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შევსება სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ანალოგიური

შინაარსის ნორმებით ქართული სამართლისა და ცივილისტური აზროვნების, შვილად აყვანის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიწვევს ქართული კანონმდებლობის დაახლოებას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებთან, რაც ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცესის გამარტივებასა და გაუმჯობესებას მშვილელბებისთვის.

დედუქცია: შვილად აყვანის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების გადმოღება და საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, ასევე სამოქალაქო კოდექსსა და სხვადასხვა სამართლებრივი აქტში მათი დანერგვა გამოიწვევს შვილად აყვანის პროცედურის გამარტივებასა და წახალისებას, ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის შემდგომ მონიტორინგის მექანიზმების შემოღებასა და უკანონო გაშვილებების აღმოფხვრას, ბავშვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭების პროცედურების გამარტივებას, შეზღუდული შესაძლებლობის პირების ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის წახალისებას, სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ინტერესების უკეთ დაცვასა და შვილად აყვანის შემდგომ მათ ჰარმონიულ, სიყვარულით სავსე გარემოში განთავსებას.

თვისებრივი კვლევა–გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე მივმართეთ სიღრმისეულ ინტერვიუს.

თვისებრივი კვლევისათვის შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ. უმეტესობა ჩაიწერა დიქტოფონის გამოყენებით. ინტერვიუს დროს ანონიმურობა სრულიად დაცული იყო. თვისებრივი კვლევის ჩატარებამ საშუალება მომცა უკეთ გავრკვეულიყავი საკითხში, შევხვედროდი და გავსაუბრებოდი პიროვნებებს, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონიათ შვილად აყვანის პროცესებთან, ვისთვისაც პირადი ისტორიაა შვილება, ვინც უშუალოდ დაკავებულია შვილად აყვანის საქმის წარმოებით და ა.შ. კერძოდ, ინტერვიუში

მონაწილეობდნენ: ნაშვილები პირი, ორი მშვილებელი, პოტენციური მშვილებელი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც უშუალოდ ჩართულია შვილად აყვანის პროცესში, სოციალური მუშაკი, ადვოკატი, მოსამართლე, საერთაშორისო გამვილების საკითხებთან მიმართებაში ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები: 1) ასაკი (შერეული); 2) სქესი (შერეული); 3) სექტორი (კერძო და საჯარო, შერეული);

კანონისა და ოფიციალური მხარის მიღმა დადგინდა ბევრი საინტერესო გარემოება, რომელიც აისახა და რაოდენობრივი კვლევისას შემდეგში გაიზომა. თვისებრივი კვლევის შედეგები უშუალოდ გამოყენებული იქნა კითხვარის შემუშავებისას.

ანკეტირების –სოციალური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ ( face to face) ფორმის გამოყენებით. გამოკითხვისას პასუხები ჩაინიშნა კითხვარშივე.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის პრინციპები დაფუძნებული იყო ერთგვარ გათვლაზე–ნაკლები დანახარჯებით მცირე დროში რეალური შედეგის მიღება. შესაბამისად, დავისახეთ მიზნად გამოკვლევის ისეთი მეთოდების შერჩევა, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა შედეგების სიზუსტეზე, კითხვარების ლოგიკურ ჩამოყალიბებასა და მიმდინარეობაზე.

იმისათვის, რომ სანდოობა მეტად ამაღლებულიყო, კვლევა ჩატარეთ ანონიმურად. რესპონდენტებს ვთხოვდით მხოლოდ სქესის, ასაკის, განათლების, სოციალური სტატუსის, ეროვნების, ქორწინებითი მდგომარეობის, სარწმუნოების, საცხოვრებელი ადგილისა და მატერიალური მდგომარეობის მითითებას.

რაოდენობრივი გამოკვლევა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციას იძლევა. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა საკვლევი ინდიკატორების სტატისტიკური გაზომვა და ანალიზი (ცვლადები, პარამეტრები, კავშირები, კორელაციები). აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს, რომ შედეგები განზოგადდება საზოგადოების ფართო ჯგუფებზე.

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით. ბაზაში, სადაც შეირჩა კლასტერები, თითოეული კლასტერი მოთავსებულია ამ კლასტერის მოცულობის პროპორციულად. ზემოთ აღნიშნული ბაზიდან, სისტემური შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, თითოეულ კლასტერში შეირჩა საწყისი წერტილი, რომელიც კონკრეტულ მისამართს წარმოადგენდა. შერჩევა აღნიშნული მისამართიდან დაიწყო და გამოიკითხა ქალაქის ყოველი მე-8 ოჯახი, ვიდრე არ შესრულდა გამოკითხული 5 რესპონდენტი კლასტერში, ხოლო სოფელში - ყოველი მე-5 ოჯახი, ვიდრე არ შესრულდა 10 გამოკითხული კლასტერში. იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი სახლში არ იყო, ინტერვიუერი იმასხოვრებდა მისამართს და მოგვიანებით უბრუნდებოდა იმ ოჯახს. მისამართი იცვლებოდა მხოლოდ სამი უშედეგო ვიზიტის შემდეგ. ოჯახში რესპონდენტის შერჩევა ხდებოდა დაბადების დღის მიხედვით, ანუ გამოიკითხებოდა ოჯახის ის წევრი, რომელსაც ყველაზე ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე.

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობა, რომელთა ასაკი აღემატებოდა 17 წელს (18+). კვლევისათვის შეირჩა ორი დიდი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი) და ორი სოფელი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. მესხეთი და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელი ფარცხანაყანევი). კვლევა შედგებოდა ორი სეგმენტისაგან ქალაქის მოსახლეობა და სოფლის მოსახლეობა. სულ 242 ადამიანი შემდეგი პროპორციული გადანაწილებით: 112-თბილისში მცხოვრებნი, 80- ქუთაისში, 50 კი ორი სოფლის მკვიდრნი.

ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კითხვარის სწორად შედგენა, ისეთი სახით, რომელიც რესპონდენტებს 10 წუთზე მეტს არ დააყოვნებდა და გაუჩენდა იმის განცდას, რომ მათ რჩევას ეკითხებიან. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ კითხვების მარტივი და გასაგები ენით ჩამოყალიბება და ორაზროვნების თავიდან აცილება.

კითხვარის შემუშავებისას გამოვიყენეთ დახურული და შერეული ტიპის კითხვები, ე.წ. კითხვები სავარაუდო პასუხებით. რესპოდენტს შეეძლო აერჩია მისთვის სასურველი პასუხი (პასუხები). ორ შემთხვევაში გამოვიყენეთ შეკითხვის ღია ფორმა, რომელზეც შესაძლებელი იყო თავისუფალი პასუხების გაცემა. მიღებული მრავალმხრივი და დეტალური პასუხები ერთიორად აფართოებდა მონაცემთა თვისებრივი ანალიზის შესაძლებლობას.

საპილოტე კითხვარმა გაიარა პრეტესტი (10 საპილოტე ინტერვიუ) ქუთაისში. შევსების ხანგრძლივობა შეადგენდა 7–10 წუთს, რაც საშუალებას აძლევდა რესპონდენტებს დრო დაეზოგათ და კვლევაში ინტერესით ჩართულიყვნენ.

ცხადია, რომ გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, შერჩევის ჩარჩოს სიმცირის გამო ვერ ასახავდა გენერალური ერთობლიობის განწყობებს, თუმცა საშუალებას გვაძლევდა გამოგვეყო ძირითადი ტენდენციები, რომლებიც არსებობდა და არსებობს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

პერიოდი: კვლევა განხორციელდა 2015 წლის 24 იანვრიდან 2015 წლის მარტის ჩათვლით.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა მონაცემთა ლოგიკური კონტროლი, მონაცემთა შეყვანა, გაწმენდა და სტატისტიკური ანალიზი, რაც სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით განხორციელდა. ძირითადად გამოვიყენეთ აღწერითი სტატისტიკის ოპერაციები, მათ შორის კროსტაბულაცია.



## კვლევის შედეგები

1. განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილია იმ ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს შვილად აყვანის ინსტიტუტის ეფექტურად ფუნქციონირებაზე.

2. ჩატარებული კვლევებიდან გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები. მომზადდა კონკრეტული წინადადებები საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსში, საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და შრომის კოდექსში, საქართველოს კანონში " სამოქალაქო აქტების შესახებ", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 50/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

3. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი აქტების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია შვილად აყვანის ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობისკენ.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შემდეგი მეცნიერული სიახლეებია შემოთავაზებული:

1. პირველად არის ჩატარებული შვილად აყვანასთან დაკავშირებით სოციალური კვლევა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტის, სამოქალაქო კოდექსის შვილად აყვანის მომწესრიგებელი ნორმების, საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ შედარებითი კვლევა, საერთაშორისო ხასიათის ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის.
2. ქართულ ენაზე სრულფასოვანი თარგმანის სახითაა წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ქრონოლოგია და კვლევაში გამოყენებულია რიგი სასამარ-

თლო გადაწყვეტილებები, მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

3. საკანონმდებლო ბაზის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე წარმოიჩინა შვილად აყვანის ინსტიტუტის უპირატესობა მინდობით აღზრდას, მეურვეობასა და მზრუნველობის ორგანოსთან შედარებით.
4. წარმოდგენილია მშვილებლების მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებულობასა და შვილად აყვანისთვის სრული მზაობის უზრუნველყოფას.
5. დასაბუთებულია ფსიქოლოგის ინსტიტუტის მნიშვნელობა და ფსიქოლოგის დასკვნის აუცილებლობა შვილად აყვანისას.

შემუშავებულია ცვლილებების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

1. შვილად აყვანის სამართლებრივი ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას.
2. შშმ მშვილებლების გარკვეული კატეგორიისადმი შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესაძლებლობას და მასთან დაკავშირებული ნორმების ახლებურ რეგულირებას.
3. მშვილებელ პირთა აღრიცხვის მიზნით წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის გაფართოებას და შესაბამისი ნორმის ახლებურ რეგულირებას.
4. შშმ ბავშვების შვილად აყვანის მოტივაციის ამაღლებას და საქართველოს საგადასახადო კოდექსში წამახალისებელი ნორმების შემოღების აუცილებლობას.
5. შვილად აყვანის განსაიდუმლოების აუცილებლობას.
6. სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოსაცდელი პერიოდის შემოღებას.
7. შვილად აყვანაზე თანხმობის მისაღებად არასრულწლოვნის ასაკის შემცირებას 10– დან 7 წლამდე.
8. მშვილებლის (მშვილებლების), როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური ასაკის დაწესების აუცილებლობას შვილად აყვანის პერიოდისათვის.

9. მშვილელისათვის არა ერთ, არამედ 2 წლამდე ასაკის ბავშვის შვილად აყვანის გამო შევბულების მიცემას.

ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს:

1. საქართველოში შვილად აყვანის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას.
2. მშვილელის შეფასების კრიტერიუმების კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებას და მშვილელის შესახებ დასკვნაში მათი დეტალურ ასახვას.
3. პრაქტიკაში უკანონო გაშვილების აღკვეთის მიზნით, სოციალური რეკლამების წარმოების აუცილებლობას.
4. შვილად აყვანის შემდგომ მშვილელელი ოჯახების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მონიტორინგის მექანიზმების დანერგვას.
5. შვილად აყვანის უპირატესი უფლების გამოყენებისას, შესაძლო უკანონო გარიგების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად მშვილელისათვის ამ უფლების შეზღუდვის აუცილებლობას.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შვილად აყვანის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივ კვლევას. კვლევაში დეტალურად არის გაანალიზებული შვილად აყვანის ინსტიტუტის სხვადასხვა ასპექტი, რამაც მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანა და დავგანახვა, რომ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან სრულყოფს საქართველოს კანონმდებლობას და ეფექტურს გახდის შვილად აყვანის რეგულირებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

ნიშანდობლივია, რომ შვილად აყვანა მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულებაა და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის

იმპერატიული მოთხოვნით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნორმებში ის პოზიტიური შეხედულებებიც უნდა აისახოს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და ხელი შეუწყეს შვილად აყვანის ინსტიტუტის დღემდე მოტანას.

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც გვინდა შევეხოთ, უკავშირდება პოტენციური მშვილებლების ასაკს. სამწუხაროდ, არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და არც საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ არ არის განსაზღვრული, თუ რა ასაკის უნდა იყოს მშვილებელი შვილად აყვანის მომენტისათვის და მინიმუმ რამდენი წლის მანძილზე უნდა იმყოფებოდნენ ქორწინებაში წყვილები, მათ შვილად აყვანის უფლება რომ მისცენ. ვთვლით, რომ აუცილებლად უნდა იქნეს შემოღებული მსგავსი ნორმები, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას ბავშვის ინტერესებს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შვილად აყვანის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ვფიქრობთ, რომ 50 წლის ასაკის ზემოთ უკვე დაგვიანებულია შვილება. საქართველოში სიკვდილიანობის საშუალო ასაკი 72,9 წელია 2014 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით. 50 წლის ასაკს ზემოთ პიროვნებას თუ დაერთავთ ნებას აიყვანოს ახალშობილი ბავშვი, როდესაც შვილად აყვანილი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, მისი მშვილებელი უკვე 72,9 წელს გადაცილებული იქნება, რაც უკვე მოწმობს იმას, რომ ბავშვის მარტო დარჩენის დიდი ალბათობა იზრდება. თუმცა აქვე შეგვიძლია გამოწვევის ვისაუბროთ, როდესაც მშვილებლები ცოლ-ქმარია, ერთი 50 წელს გადაცილებული, ხოლო მეორე კი 50 წელზე ნაკლები ასაკის, ამ შემთხვევაში ყოველი კონკრეტული საქმის შესწავლით განისაზღვრება, თუ როგორ იქნება ბავშვის ინტერესები დაცული.

მიგვაჩნია, რომ შვილად აყვანის მსურველი პირის მაქსიმალური ასაკის დაწესება აუცილებელია, კერძოდ, 50 წელი, ხოლო მინიმალური – 25 წელი. იმ შემთხვევაში, თუ დაქორწინებულ წყვილს აჰყავს ბავშვი ერთობლივად, მეუღლე უნდა იყოს მიღწეული 25 წლის ასაკს, მეორე მეუღლე – 21 წლის ასაკს, ამასთან, წყვილი სულ

მცირე 2 წელი მაინც უნდა იმყოფებოდეს ქორწინებაში და შემდეგ დაერთოს შვილად აყვანის ნება.

პირები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან წლების განმავლობაში ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის მსურველ პირთა ერთიან რეესტრში და 50 წელს გადაცილებული არიან, საჭიროებენ ერთიანი მონაცემთა ბაზის ხელახლა გადახედვას და გარკვეული ცვლილებების განხორციელებას.

2) დღეს მოქმედი სსკ 1245–ე მუხლის თანახმად, „შვილად აყვანის უფლება შესაძლოა მიეცეს ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, ან რომელსაც ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო.“ მათ სიაში შედიან ასევე ის პირები, რომლებთაც „ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლიათ განახორციელონ მშობლის უფლება.“

განსაკუთრებით საინტერესოა სსკ 1245–ე მუხლის ბოლო წინადადება, სადაც აკრძალვები შეეხო ასევე იმ პირებს, რომლებთაც „ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლიათ განახორციელონ მშობლის უფლება.“

ავადმყოფობაში კი იგულისხმება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №50/ნ ბრძანებაში „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებები. კერძოდ:

"გ.ა) ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის; გ.ბ) შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში; გ.გ) ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვნად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც გამოიწვევს მოძრაობისა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას; გ.დ) ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები; გ.ე) ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი; გ.ვ) ინფექციური დაავადებები მათი

დისპანსერული აღრიცხვიდან მოხსნამდე; გ.ზ) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები; გ.თ) ყველა დაავადება და ტრავმა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, რომელიც ახდენს გავლენას ბავშვის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებაზე;"

სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან იშვიათად ხდება შშმ პირის მიერ შვილად აყვანა, მაშინ, როცა არც კი მოგვეპოვება სტატისტიკა შშმ წყვილების მიერ შვილად აყვანაზე და დღეს არსებული მდგომარეობით არ მოგვეპოვება კანონი, რომელიც შშმ პირებს ჩათვლიდა პოტენციურ მშვილებლად და დაარეგულირებდა მათი შვილად აყვანის საკითხს ერთ სისტემატიზირებულ ჩარჩოში –ერთ სამართლებრივ დოკუმენტში.

3) შემდეგი საკითხი, რომელიც გვსურს გამოვყოთ, უკავშირდება მშვილებლების მზაობას ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია, შემუშავდეს პოტენციური მშვილებლებისთვის მოსამზადებელი პროგრამა და სასწავლო კურსის გავლა სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობით, რათა მან თავიდანვე გაითავისოს მშვილებლის ამპლუა და მისი როლი ბავშვთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მშვილებელმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ ტრენინგები სხვადასხვა საკითხზე და შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც გაუადვილებს მათ შვილად აყვანილთან ურთიერთობას.

სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ მშვილებლებისთვის მოსამზადებელი ტრენინგპროგრამა, რაც სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის.

4) თითქმის ყოველდღე იზრდება მშვილებელთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულ მშვილებელთა მონაცემები. კერძოდ, 2000 წლიდან 2014 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით შვილად აყვანის მსურველ პირთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულია 3035 ოჯახი (წყვილი ან მხოლოდ ერთი პირი), რაც იმას გულისხმობს, რომ წლიდან წლამდე ემატება მათი რაოდენობა, შვილად ასაყვანი ბავშვების რაოდენობა კი მოცემულ მონაცემზე ბევრად ნაკლებია, რაც ერთიორად ართულებს დღეს შვილებას ქვეყანაში.

სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა იმისათვის, რომ გაეთვალისწინებინათ იმ მშვილებელთა ინტერესები, რომლებიც წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ ლოდინის რეჟიმში, შემოიღეს ნორმა, რომელიც უპირატესი უფლებით სარგებლობას გულისხმობს შვილად აყვანისას. თუმცა ერთი რამ მხედველობიდან გამორჩა, თუ რა „შავ ხვრელს“ უტოვებდა იმ ადამიანებს, რომლებიც სარგებელს ნახულობდნენ აღნიშნული დათქმით. ეს ეხება განსაკუთრებით იმ ნაწილს, სადაც შვილად აყვანასთან დაკავშირებით ბავშვის ბიოლოგიურ მშობელსა (მშობლებსა) და მშვილებელს შეუძლიათ ერთობლივად მიმართონ სააგენტოს და ყოველგვარი რიგითობის პრინციპის დაცვის გარეშე აიყვანონ ბავშვი. რა თქმა უნდა, მშვილებლისათვის ეს გზა გაცილებით მოხერხებულია, თუმცა შესაძლოა შეიცავდეს უკანონო გარიგების ნიშნებს და მიყვავდეთ სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენამდე.

პრობლემა ისაა, რომ ეგრეთ წოდებული პირდაპირი შვილად აყვანის წესი, არათანაბარ პირობებში აყენებს მშვილებლებს. ის, ვინც მშვილებელთა ერთიან რეესტრში არის აღრიცხული და წლების მანძილზე ელოდება თავის რიგს, რათა დაკმაყოფილდეს მისი განცხადება შვილად აყვანაზე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რეესტრის გვერდის ავლით შვილად აყვანის პროცესი უფრო ნელი ტემპით წარმოებს, რის გამოც მშვილებლების რიგს ფაქტობრივად უძრავს ხდის.

ამიტომ ვთვლით, რომ საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტი საჭიროებს ცვლილებას. მიგვაჩნია, რომ მოცემული მუხლის მე-5 წინადადება ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული კანონიდან.

ამით, ფაქტობრივად, თანაბარ პირობებში ჩააყენებთ მშვილებლებს, რომლებიც წლების განმავლობაში უცდიან თავიანთ რიგს შვილად ასაყვანად.

5) მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკანონო გარიგებები ნაკლებად გახმაურებულია ფართო საზოგადოებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ მოცემულ დანაშაულს დაფარული სახე აქვს და ძნელად თუ დგინდება გარიგებას აქვს თუ არა ადგილი მშვილებელსა და ბიოლოგიურ მშობელს (მშობლებს) შორის.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მეტად ჩართულობა შვილად აყვანის საკითხის ირგვლივ უპირატესი უფლების გამოყენების დროს, რაც ხელს შეუწყობს უკანონო გაშვილებების აღკვეთას და უტყუარად დადასტურებული ინფორმაციის მიწოდებას სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის ქმედების შესახებ.

მართალია, საქართველოს კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ განსაზღვრულია გარკვეული ქმედებები, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით იკრძალება. მათ მიეკუთვნება შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა, ამასთან, გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო განცხადებაში აღნიშნულია მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამისი ორგანოს შესახებ, იმაზე მითითებით, რომ შვილად აყვანის საკითხებზე მხოლოდ მათ შეუძლიათ მიმართონ. ასეთ განცხადებაში, რასაკვირველია, არ მითითება გასაშვილებელი ბავშვის ვინაობის შესახებ.

ვფიქრობთ, ჩანაწერი, რომლითაც იკრძალება გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება, უსარგებლო ნორმაა, რადგან არავინ დაიწყებს საჯაროდ განცხადების გამოკვრას ბავშვის ან მშვილებლის მოძიებასთან დაკავშირებით.

მოცემული ჩანაწერით ცხადია, რომ არასრულწლოვნის შვილად აყვანა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გვერდის ავლით დაუშვებელია. ამისთვის კი ვთვლით, კარგი იქნება ტელევიზიითა და სოციალური ქსელის საშუალებით გაიშვას სოციალური რეკლამა მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით. მიეწოდოს მათ ინფორმაცია უკანონო შვილად აყვანის შემთხვევაში გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნორმების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნება საცნობარო-საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა, სადაც აღნიშნული იქნება ის შედეგები, რაც მოყვება უკანონო შვილად აყვანას.



6) შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება მშვილებლების წახალისებას. კერძოდ, იმისათვის, რომ ხელშეწყობა იგრძნონ მშვილებლებმა სახელმწიფოს მხრიდან შვილად აყვანის შემდეგ, საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლი სთავაზობს ნებისმიერ დასაქმებულს, რომელიც იშვილებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცეს ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე. მოცემული ნორმა მკვდარ ნორმადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან გასაშვილებელი სტატუსის მინიჭება იმდენად რთულ პროცედურას წარმოადგენს, ძნელად თუ ვინმე იშვილებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს და მით უმეტეს, როდესაც წლების განმავლობაში უწყევს მშვილებელს (მშვილებლებს) რიგში დგომა, ნაკლებად თუ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი და შესაძლებლობაც მოცემული მუხლით ისარგებლოს.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლში განხორციელდეს ცვლილება და გაიზარდოს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი, კერძოდ, 2 წლამდე. ამასთან ის მშვილებლები, რომლებიც აიყვანენ ბავშვს გამოსაცდელი ვადით, მათაც მიეცეთ უფლება ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით – ვადით 6 თვე.

7) ნიშანდობლივია ასევე, აღინიშნოს, საქართველოში მოქმედი შვილად აყვანის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ არეგულირებს სასამართლოს მიერ შვილად აყვანის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის გამოსაცდელი ვადის დაწესებას, იმის გასარკვევად, რამდენად შეეწყობა მშვილებელი შვილად ასაყვან ბავშვს და რამდენად უზრუნველყოფს ის შვილად აყვანის შემდგომ მშვილებლის მოვალეობის განხორციელებას.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს უნდა გაეზარდოს უფლებამოსილება და დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე დაუნიშნოს მომავალ მშვილებლებს გამოსაცდელი ვადა - ვადით 12 თვე. აღნიშნული ცვლილება კი აისახოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში .

8) როგორც ცნობილია, საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 15 შეეხება მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი შეეხება მშვილებლობის კანდიდატთა მომართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალს.

მიგვაჩნია, რომ მოცემული დოკუმენტების ნუსხა უნდა გაფართოვდეს და დაემატოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საშუალო განათლების ატესტატი და განქორწინებული პირის მომართვის შემთხვევაში სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ ან განქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუკი ქვრივია - მეუღლის გარდაცვალების მოწმობა.

9) იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შვილად აყვანისას შვილად ასაყვანი პირის ინტერესების გათვალისწინება და შვილად აყვანის პროცესის წარმართვა, ნაშვილების უფლებების დაცვით აუცილებელია, ბავშვისგან, თუკი ის არის 10 წლის ასაკს მიღწეული, მიღებულ იქნეს თანხმობა გაშვილებაზე შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე ბავშვის მოსმენის შედეგად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლიდა, შვილება გამონაკლისის სახით შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშეც.

მიუხედავად იმისა, რომ გაშვილებაზე ბავშვის თანხმობის გათვალისწინება უაღრესად დადებითი მოვლენაა, რადგან ბავშვის სურვილის არქონის შემთხვევაში იქვე გამოირიცხება მისი შვილად აყვანა.

ვთვლით, რომ საქართველოში ბავშვის ასაკის შემცირება 10–დან 7 წლამდე მნიშვნელოვან წინსვლად შესაძლოა ჩაითვალოს, რადგან მიგვაჩნია, რომ დღეს ჩვენს რეალობაში ახალი თაობა ბევრად მეტად განვითარებული, ადრეულ ასაკიდანვე ჩამოყალიბებულია, რაც გულისხმობს იმას, რომ ბევრ მოვლენას, ინფორმაციას ადრეული ასაკიდანვე განსხვავებულად უყურებს, ანალიზებს და გამოხატავს

საკუთარ პოზიციას. 7 წლამდე ასაკის შემცირება ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცესის დროულ და კიდევ უფრო მეტად გამართულ წარმოებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლში განხორციელდეს ცვლილება.

აღნიშნული ცვლილების განხორციელება ავტომატურად გამოიწვევს საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და სხვა შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივ აქტებში ნორმების ახლებურად დარეგულირებას.

10) ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთ–ერთ პრობლემატურ საკითხს შვილად აყვანის საიდუმლოდ დატოვება წარმოადგენს, რაც არაერთხელ გამხდარა მშვილებლებისთვის დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩენის საფუძველი.

დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლი ეხება შვილად აყვანის შესახებ ცნობების გამოქვეყნების დაუშვებლობას, რაც კონფიდენციალობის დაცვის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ ხსენებული მუხლი მცირედ კორექტირებას და ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებას საჭიროებს. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი წინადადება: „მშვილებელს მიეცეს უფლება შვილად აყვანილი ბავშვის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე უთხრას მისი შვილად აყვანის შესახებ“

საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 25-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის საიდუმლოება ასევე დაცულია. ამასთან, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია და პასუხისმგებლობა აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

აღნიშნული დათქმა კანონმდებლობაში ერთგვარად სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პირადი საიდუმლოების დაცვაზე არის ორიენტირებული. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება შვილად აყვანის ღიაობის პრინციპის დამკვიდრება, ნებისმიერ მშვილბელს შეეძლება „თავი დააღწიოს“ მუდმივ შიშს საიდუმლოების გაცემასთან დაკავშირებით.

ნიშანდობლივია ასევე აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონის "სამოქალაქო აქტების შესახებ" 42-ე მუხლის მეხამე და მეოთხე პუნქტი უკავშირდება შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფას. მეხამე პუნქტი ეხება კონკრეტულად მშვილბელის (მშვილბელების) მოთხოვნით შეცვლილი მონაცემებით ნაშვილების დაბადების ახალი რეგისტრაციის შესაძლო განხორციელებას და მეოთხე კი შეცვლილი მონაცემებით დაბადების ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში 10 წლამდე ნაშვილებისთვის პირადი ნომრის შეცვლას მშვილბელის (მშვილბელების) მოთხოვნით.

მიგვაჩნია, რომ სიტყვები „მშვილბელების მოთხოვნით“ საკმაოდ პრობლემურ ჩანაწერს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება 10 წლამდე ნაშვილებისთვის პირადი ნომრის შეცვლას მშვილბელის (მშვილბელების) მოთხოვნით.

პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ვხვდებით, როდესაც პოტენციური მშვილბელები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სწორედ მათ უნდა მიუთითონ შვილად ასაყვანი ბავშვის პირადი ნომრის შეცვლასთან დაკავშირებით. სასამართლო თავისივე ინიციატივით არ უთითებს გადაწყვეტილებაში პირადი ნომრის შეცვლაზე, ეს კი ერთგვარად ეჭვის გაჩენის საფუძველიც შესაძლოა გახდეს მომავალში ნაშვილებისთვის, თუკი დროულად არ გაემხილება მას, რომ ნაშვილებია. ყველა რეგიონში პირადი ნომრის განსხვავებული საწყისია, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველოს ერთი კუთხიდან სხვა კუთხეში გამშვილბებისას პირადი ნომერი უცვლელი დარჩება.

ვფიქრობთ, რომ მოცემული საკითხიც განსხვავებულ მიდგომასა და ცვლილებას საჭიროებს. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონის "სამოქალაქო აქტების შესახებ" 42-ე მუხლის მეოთხე პუნქტის განსხვავებული ფორმულირება უნდა მოხდეს, დაემატოს „ან/და სა-

სამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე" შემცირდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვის ასაკი 10 –დან 7 წლამდე.

11) ბავშვის ფსიქოლოგია ერთ–ერთ ყველაზე სათუთ თემას წარმოადგენს, რაც ინდივიდუალურ მიდგომას და შესწავლას საჭიროებს. ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ ნაშვილებმა უნდა გაიგოს მისი წარმომავლობის შესახებ. თუმცა, იმისათვის, რომ გაუმხილოს ბავშვს შვილად აყვანის ფაქტი, მშვილებელი ჯერ თვითონ უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მზად ამისთვის.

მიგვაჩნია, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არა მარტო სოციალური მუშაკები უნდა ჩართოს შვილად აყვანის პროცესში აქტიურად, არამედ ფსიქოლოგებიც, რომლებიც მზად იქნებიან მუდმივად დაეხმარონ მშვილებლებს მსგავსი პრობლემის მოგვარებაში.

მსგავსად ოჯახის ექიმებისა, ვფიქრობთ, კარგი იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე შექმნას ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად. რამდენადაც შვილად აყვანის საკითხის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შვილად აყვანის პროცედურის განხორციელებისას, მიგვაჩნია, აუცილებელია აქტიურად ფსიქოლოგიის ჩართულობა შვილად აყვანის პროცესის დაწყებიდან, მშვილებელთა შესწავლა და დასკვნის წარმოდგენა მშვილებელთა მზაობასთან და შვილად ასაყვანი ბავშვის შეთავსებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მშვილებლების დახმარებას და ბავშვის ეტაპობრივ ზრდასთან ერთად შვილად აყვანის შესახებ ინფორმაციის სწორად მიწოდების სწავლებას.

12) შვილად აყვანის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ერთ–ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლო სისტემა და თავად მოსამართლეებიც სიღრმისეულად არ არიან ჩართულნი შვილად აყვანის პროცესში, ისინი მხოლოდ ეყრდნობიან სასამართლო პროცესზე მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მხარეთა მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებას

შვილად აყვანის შესახებ. მსგავსი სასამართლო პროცესები შესაძლოა 10 წუთზე მეტს არ გაგრძელდეს, რაც თითქმის მოსამართლეებს არ აძლევთ საშუალებას სიღრმისეულად შეისწავლონ მშვილდობლების მდგომარეობა და განსაზღვრონ ბავშვის შვილად აყვანისას მისთვის საუკეთესო ინტერესები.

ვთვლით, რომ საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და მიეცეს სასამართლოს უფლება საქმის სპეციფიურობიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ექსპერტის სახით ჩართოს ფსიქოლოგი და ამით კიდევ უფრო განმტკიცდეს ის ფაქტი, რომ შვილება ბავშვის ინტერესების დასაცავად წარმართა. სწორედ ამიტომ კარგი იქნება, თუკი სასამართლო სისტემაშიც გატარდება გარკვეული რეფორმები და შეიცვლება ზედაპირული მიდგომები შვილად აყვანის საქმის განხილვისას, რათა მოსამართლეებსაც ჰქონდეთ უფლება სიღრმისეულად შეისწავლონ საკითხი და შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება შემდეგ გამოიტანონ.

13) საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილობისა და გაუქმების საფუძვლები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოთ აღნიშნულ კანონში განცალკევდეს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობისა და გაუქმების საფუძვლები.

14) ოჯახი და ოჯახური გარემოს შექმნა ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. ისეთ ოჯახში, სადაც ჰარმონია არ სუფევს და ბავშვის მიმართ მშობლისგან უყურადღებობას და ხშირ შემთხვევაში უგულბელობას და მის მიტოვებას აქვს ადგილი. არასრულწლოვნის მიტოვებულად აღიარებას სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც შეუძლია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება მშობ-

ლისათვის (მშობლებისათვის) მშობლის უფლება - მოვალეობების ჩამორთმევის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მშობლის უფლების ჩამორთმევის ნორმებს.

სსკ 1206-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მშობელს ჩამორთმევა მშობლის უფლება, თუკი ის სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელ, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ან ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა, შვილი მიტოვებულადაა აღიარებული, ჩამორთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

მიგვაჩნია, რომ შვილის მიტოვებულად აღიარებას დაემატოს ვადა, თუ რა ვადის ფარგლებში არის შესაძლებელი შვილის მიტოვებულად აღიარება. ვფიქრობთ, რომ უნდა დაემატოს ჩანაწერი „ან ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ შეუსრულებია მშობლის მოვალეობა....“

15) რამდენადაც შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სოციალური მუშაკი, მის კომპეტენციას განეკუთვნება: მშვილბელთა შეფასება მისი ბიოგრაფიული, პიროვნული, სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ისევე, როგორც ბავშვის შვილად აყვანის მოტივების განსაზღვრა და მათი შესაბამისობის დადგენა შვილად აყვანის მიზნებთან, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემების, პიროვნული თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და მშვილბელისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის განსაზღვრა და სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელთა საქმიანობის ხარისხზე მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით ძალიან მცირე მოთხოვნებია განსაზღვრული მშვილბელის შესაფასებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ პოტენციური მშვილბელის შეფასების დროს პა-

სუბსიდეგობა სრულად ეკისრება სოციალურ მუშაკს, რომელსაც ევალება ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასება და დასკვნის დადება იმასთან დაკავშირებით, მოცემულ ოჯახში ბავშვი ჯანსაღ გარემოში აღიზრდება და უზრუნველყოფილი იქნება თუ არა მისი მომავალი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოციალური მუშაკების მუდმივად გადამზადება და პროფესიული განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცედურის ეფექტურად წარმართვას.

მნიშვნელოვანია ჩატარებულ იქნეს გარკვეული ტრენინგები სოციალური მუშაკებისთვის, რათა მათ შეეძლოთ შვილად აყვანის პროცესის დროს საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება.

16) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 50/ნ, მიღებული 2010 წლის 26 თებერვალს, „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების“ შესახებ, მუხლი მე-15, შეეხება შვილად აყვანის შესახებ დასკვნის წარმოებას. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტი უთითებს, თუ რა უნდა იყოს აღნიშნული შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში. კერძოდ:

მუხლი 15. შვილად აყვანის შესახებ დასკვნა

5. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა) მშვილბლის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივი;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჩვენი აზრით, მოცემული პუნქტი არ უბიძგებს სოციალურ მუშაკს სიღრმისეულად შეისწავლოს მშვილბლის პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც შვილად აყვანის საკითხის მიმართ ზედაპირულ მიდგომას უწყობს ხელს. ვთვლით, რომ აუცილებელია კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს მომავალი



მშვილელის პიროვნული და ოჯახური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები. პრაქტიკაში სოციალური მუშაკის მიერ მშვილელის შეფასება და მის მიერ დაწერილი დასკვნა ერთ გვერდს, ან მაქსიმუმ სამს, არ აღემატება, რაშიც მოკლედ არის გადმოცემული ოჯახსა და მშვილელს შორის არსებული მდგომარეობა, მაშინ, როცა უცხოეთიდან მიღებული დასკვნა მშვილელის მდგომარეობის შესახებ შესაძლოა 20 – 30 გვერდს შეადგენდეს.

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტში უნდა შევიდეს ცვლილება და გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, დაემატოს ვადა, თუ რა პერიოდის განმავლობაში იქნება შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნა მოქმედი ძალის მქონე.

შესაბამისად მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა.ა) მშვილელის ბიოგრაფიული მონაცემები, (მშვილელის ბიოგრაფია მისი ბავშვობის, ახალგაზრდობის, სკოლაში სწავლების პერიოდის შესახებ, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; ა.ბ) პიროვნული თვისებები (მახასიათებლები და ინტერესები, რომელიმე კლუბის ან ასოციაციის წევრობის შესახებ ინფორმაცია, დასვენების დრო, ჰობი), მშვილელის (მშვილელის) სტრესთან გამკლავების უნარი; მშვილელის (მშვილელის) მშობლობის უნარ-ჩვევები; ურთიერთობა მშობლებთან და მის და-ძმასთან (ყოლის შემთხვევაში); ა.გ) მშვილელის (მშვილელის) ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური მართვის უნარ-ჩვევები; ა.დ) მშვილელის (მშვილელის) სოციალური მდგომარეობა – საცხოვრებელი პირობები; ა.ე) ჯანმრთელობის მდგომარეობა. ა.ვ) მშვილელ (მშვილელის) ემოციური მდგრადობა (მენტალური მდგომარეობა) და სტაბილურობა - ფსიქოლოგის დასკვნის წარმოდგენა; ა.ზ) მშვილელის (მშვილელის) კრიმინალური წარსული, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ა.თ) მეგობრებისა და ნათესავების შესახებ ინფორმაცია. ა.ი) ბავშვის შვილად აყვანის მოტივი, მშვილელის (მშვილელის) მოსაზრება ბავშვის წარმოშობის გამჟღავნების

შესახებ; ბ) გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში აღნიშნული თანხმობა ძალაშია 2 წლის განმავლობაში.

17) მას შემდეგ, რაც მოხდება მშვილებლების მხრიდან ბავშვის აყვანა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უკვე აღარ იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის შიგნით მშვილებელთა ოჯახების შემდგომი კონტროლის შესახებ. ეს იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ არ შეიცავს მსგავს ნორმას.

ვთვლით, იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ რამდენად ჯანსაღ გარემოში იზრდება ბავშვი და შვილება შეესაბამება თუ არა მის თავდაპირველ მიზანს, აუცილებელია შეიქმნას მაკონტროლებელი მექანიზმი, რათა სახელმწიფომ გაშვილების შემდგომაც იზრუნოს ბავშვზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააკონტროლოს მშვილებლის ოჯახი.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მაკონტროლებელი ინსტიტუტი უნდა შეიქმნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიგნით, რათა შვილად აყვანის შემდგომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდეს შვილად ამყვანი პირის/ ოჯახის დაკვირვება და შესწავლა.

ვფიქრობთ, რომ გაშვილების შემდგომ ქვეყნის შიგნით კონტროლის ნორმა უნდა აისახოს საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

